№ 179

1877—1897

№ 179

კვირა 31 აგვისტო 1897 წ.

კვირა 31 აგვისტო 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია"
ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

აკაკის
ოჯიური ჟურნალი

# კრებული

გამოვა ყოველი თვის პირველ რიცხვებში.
წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.
ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.
წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. საზღვარ-გარეთ ერთი წლით 9 მან., ნახევარი წლით 5 მან.
**რედაქცია იღებს დასაბეჭდათ ყველა ენაზედ კერძო განცხადებებს.**
✱ ვთხოვთ ჩვენ აგენტებს ხელის მომწერთა სია დროზე გამოგვიგზავნონ. ✱
რედაქცია იმყოფება მუხრან-ბატონის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე.
ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію груз. журнала „Кребули".

## რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

## ქართული თეატრი

სათავად-აზნაურო თეატრში, კვირას, 31 აგვისტოს 1897 წ.
ქართულის თეატრის რეჟისორის თანაშემწე ა. თამაზიშვილი გამართავს გამოსაცდელს წარმოდგენას სცენის მოყვარეთა დახმარებით.
წარმოდგენილი იქნება:
I
**ბრილიანტი**
კომ. 2 მოქ., თხზ. თავ. რ. ერისთავისა.
II
**ადვოკატი მელაძე**
კომედია 2 მოქმედებად, თარგ. თავ. ი. მაჩაბლისა.
ადგილების ფასი ძალიან დაკლებულია.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

## სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა

აგვისტოს 27-დგან 2 სექტემბრამდე მოხდება მისაღები ეგზამენები. თუ მანამდე ვაკანსიები არ იქმნა შევსებული, მოსწავლეთა მიღება განიგრძობა შემდეგს რიცხვებშიაც.

3 და 4 ენკენის თვეს იქმნება ხელმეორედ გამოცდა ზოგიერთის შეგირდებისა. სწავლა დაიწყება 5-ს სექტემბერს. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნას შემდეგი საბუთები: ა) წლოვანების მოწმობა და ბ) ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ირიცხება. პირველს განყოფილებაში 40 ვაკანსიაა თავისუფალი, მეორეში 2, მესამეში 3 და მეოთხეში 14.

ინსპექტორი სამსონ ყიფიანი
(3—6.—3).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო** —სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: კოლეჟსკი რეგისტრატორობა — ფოთის საკარანტინო სადამოჟნო კანტორის კანცელარიის მოხელეს ქუთათელაძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა — ტფილისის გუბერნიის მესამე ხარისხის მეტყევეს ჩაჩიკაშვილს.

დანიშნულ იქმნა: კავკასიის ოლქის გზათა უწყების კანცელარიის გამგეს თანაშემწე ნადვორნი სოვეტნიკი გაბაშვილი—ამავე კანცელარიის გამგეს და გამგეობის იურისკონსულტის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა: განჯის გუბერნიის, ყაზახის სასპატიმროს ზედამხედველი კოლლეჟსკი ასესორი კარგარეთელი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ წლის 14 ივლისს დაამტკიცა ალექსანდრეს სამოსწავლო ინსტიტუტის დამსმარებელ-თანამგრძნობელთა საზოგადოების წესდება.

# ახალი ამბავი

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საზოგადო კრების ერთს უმახლობელესს სხდომაზედ განხილულ იქმნება ფრიად საყურადღებო მოხსენება, გამოგზავნილი თავისუფალ საეკონომიო საზოგადოების მიერ. იმის შესახებ, რა ღონისძიებანი იქნას ხმარებული, რომ აცილებულ იქმნას გაგზავნილ პურისა და მარცვლეულის რკინის გზებზედ ჩარჩენისა და დაგვიანების მიზეზები.

# ფელეტონი

### პოეტს

შენ პოეტი ხარ და შენი გული
ემგზავსვის წმიდა ტაძარს, ღთვიურსა,
სადაც ადგილი არ მისცემია
სამაგიერო მტრობას და შურსა...

—

ფიქრი, ზეგარდმო მომადლებული,
ღირს-შესანიშნი და სახსოვარი,
შენს სპეტაკს გულში ჩამკვიდრებული,
წმიდა ტაძარში ვით მაცხოვარი,

—

და თუ უარ-ჰყოფს ვინმე შენს სწრაფვას,
ვით ღვთიურს მცნებას ბილწი სატანა,
რა ვქნათ, თვით ქრისტეს უარ-მყოფელი
ურწმუნოთ შორის ცოტაა განა?..

—

სამაგალითო მცნება-მოძღვრებით
განმსჭვალული გაქვს ეგ წმიდა გული
და საღმრთო ვალად მიგიჩნევია
მოძმის გატანა და სიყვარული...

—

ამ წმიდა მცნებით აღფრთოვანებულს,
წინამძღვრის კვალზედ გსურს რომ იარო,
ტანჯვით შენც ბევრ გზის ცრემლ-დადენილმა
იმისი ტანჯვაც გაიზიარო;

—

ვით იგი დადის სოფლიდგან სოფლად
ქრისტეს მოძღვრების სწორ მქადაგებლად,
აგრეთვე შენცა განმზადებულხარ
ურწმუნოთათვის პასუხის მგებლად!..

—

არ შედრკე, მიჰყევ მაგ წმიდა მცნებას
კერპთ მსახურების შეუპოვარად, [ბას
ნუ უფრთხი ორგულთ შურისძიებას,
ტანჯულთა ექმენ ხმლადა ფარად,

—

და უგნურთა ბრბო თუ უარსა-ჰყოფს
შენს წმიდა აზრსა, ამას ნუ სჩივი,
მცნებადვე გრწამდეს, რომ ტალახლაფით
არ დაისვრება მზის წმიდა სხივი!..

ხელოსანი ნოშრევანიძე

### ბოდელერიდგან.

#### უცხო-ქვეყნელი

— მითხარი, ვინ გიყვარს ყველაზედ მეტად ამ ქვეყნად, გაუგებარო არსებავ? მამა, დედა, თუ ძმა?

— არა მყავს არც მამა, არც დედა, არც და და არც ძმა.

— მეგობრები?

— ისეთს სიტყვას ამბობთ, რომლის აზრი ჯერაც გაუგებარია ჩემთვის.

— სამშობლო?

— არ ვიცი, სადა მდებარეობს იგი.

— სილამაზე?

— მეყვარებოდა, უკვდავი ღვთაება რომ ყოფილიყო.

— ოქრო?

— მეც ისე მძაგს იგი, როგორც თქვენ.

— მაშ რაღა გიყვარს, უცნაურო ადამიანო?

— მიყვარს ღრუბლები, ღრუბლები, რომელნიც მისცურავენ აი იქ, მშვენიერი ღრუბლები!..

—

### საითმე, შორს ამ ქვეყნიდგან!..

—

ცხოვრება საავადმყოფოა, სადაც ყოველი ავადმყოფი სცდილობს ადგილი იცვალოს. ერთს ბუხართან უნდა იტანჯოს, მეორეს სჯერა, რომ მხოლოდ სარკმელთან ვპოვებ განკურნებასაო.

მეცა მგონია, რომ მხოლოდ იქ ვპოვებდი ბედნიერებას, სადაც ეხლა არა ვარ, და ამაზედა მაქვს დაუბოლოვებელი კამათი ჩემს სულთან.

— მითხარი, სულო ჩემო, საბრალოვ, გაციებულო სულო, რა იქნება, ლისსაბონში რომ დავესახლოთ, იქ ცხელა და შენ ხვლიკსავით გათბებოდი მზეზედ. ეს ქალაქი ზღვის პირას მდებარეობს და ამბობენ, მარმარილოსაგან არის აშენებულიო; იმისს მკვიდრთ ისე სძაგთ მცენარეულობა, რომ ხეებს ძირიანადა სთხრიან. შენც ხომ ეგ გიყვარს—სინათლისა და ლითონთა შორის ცხოვრება და იმათსავე წყალში ოტებ-ბის ხილვა.

მაგრამ სული ჩემი არ იძლევა პასუხს.

— შენ გიყვარს მოძრაობას უყურებდე, ხოლო თვით-კი მოსვენებით იყო; გინდა გავწიოთ ჰოლლანდიაში, ამ უცხო ქვეყანაში? იქნება, იმ ქვეყანამ, რომლის სურათები სიამოვნებასა გგვრიდნენ მუზეუმებში, გაგაცოცხლოს?! რას იტყვი როტტერდამისას, სადაც აუარებელი იალქნები და გემები ზედ სახლის კარებს მისდგომიან?!

სული კვლავ გაჩუმებულია.

— იქნება ბატავია გერჩივნოს, მით უმეტეს, რომ იქ ტროპიკულ სიმშვენიერესთან ევროპიულს ცხოვრებასა ჰნახავ?

ხმა-გაკმენდილია.

ხომ არ მომკვდარა სული ჩემი?

— ან იმდენად თუ შეეჩვიე შენს ტანჯვას, რომ შეგიყვარდა კიდეც? თუ ასეა, გავიქცეთ იქ, სიკვდილის მგზავსს ქვეყნებში. გავწიოთ ტორნეოში, ან უფრო შორს, ბალტიის ზღვის იქითა მხარეს; იქ, სადაც თავდება სიცოცხლე, თვით პოლიუსზედ. იქ მზე განიდგან ათბობს და ანათებს მიწას და იქაური გრძელი დღენი და ღამენი, გაურიჟრაჟონი და უბინდონი, აორკეცებენ ერთ სახიანობას — ესაა უარსებობის დასაბამი. იქ შეგვიძლიან ნისლში გავეხვიოთ და მხოლოდ ხანდახან, იშვიათად თუ მოაღწევს ჩვენამდე მთიების რამდენიმე სხივი, ვით ოტება ჯოჯოხეთისა!

ძლივს-ღა ხმა გამოიღო ჩემმა სულმა და გავიგონე მისი დრტვინვა, მისი ჩივილი:

— საითმე, საითმე, ოღონდ შორს-კი ამ ქვეყნიდგანაო!

ივ. ზ—შვილი

### ფეხი

ჰენრიხ ცშოკესი

ერთხელ, 1782 წელს, შემოდგომაზედ, როცა დოსტაქარი ტეფენეტი კალეში იმყოფებოდა, უსახელო წერილი მიიღო, რომელშიაც სთხოვდნენ წასულიყო მეორე დღეს პარიზის ახლო მდებარე აგარაკში და თან ყველა საჭირო სადოსტაქრო იარაღიც წაეღო. იმ დროს ექიმი ტეფენეტი განთქმული იყო თავისის ცოდნით და საკვირველი არ იყო, თუ ხანდახან სრუტის იქით, ინგლისშიაც მიიწვევდნენ ხოლმე სამკურნალოდ. დიდხანს ემსახურა ჯარში და თუმცა სასტიკის შეხედულობისა იყო, მაგრამ ყველას უყვარდა იგი მის ბუნებრივ გულ კეთილობისათვის. ტეფენეტს ეუცა ამ წერილის მიღება, რომელშიაც ალაგი, დრო და ჟამი ნიშანდობლივ იყო ნაჩვენები, სად და როდის მოუცდიდნენ, მაგრამ როგორც ზემოდ არის ნათქვამი, იგი უსახელო იყო. „ალბად ვისმეს უნდა მიხუმროსო, როგორც პირველს აპრილს იციანო", გაიფიქრა ექიმმა და არ წავიდა. მაგრამ იმას

*** სახელმწიფო თეატრში საზამთროდ, როგორც ვიცით, ბ-ნ ლ. ვ. ფორკატის მიერ საოპერო დასია მოწვეული.

„ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში“ ამ მომავალ სექტემბრის 15 ანუ 20-დგან დაიწყებს თავისს წარმოდგენებს ბ-ნი ს. პალმის დასი, რომელსაც ამ რამდენისამე წლის წინად სახელმწიფო თეატრი ჰქონდა ჩაბარებული. ბ ნს პალმს საუკეთესო არტისტები ეყოლება თურმე მოწვეული ოპერეტისა და ტფილისში მხოლოდ დეკემბრის თვემდე დარჩება. პირველ დეკემბრიდგან ჩამოვა მალოროსიელთა დასი, რომელშიაც უმთავრესს მონაწილეობას იღებენ ბ-ნი სადოვსკი და მალოროსთა დიდად შესანიშნავი და ყველაზედ ნიჭიერი არტისტი ქალი ქ ნი ზანკოვეცკაია. ამავე თეატრში გაჰმართავს, ჩვეულებისამებრ, ქართულს წარმოდგენებს ახლად შემდგარი ქართული ამხანაგობა თეატრის მოყვარეთა, ხოლო დასი ამ ამხანაგობისა ჯერ სავსებით შედგენილი არ არის. სომხებს ამ ზამთრობით სამუდამო დასი ტფილისში არ ეყოლებათ. სომხის არტისტები ბაქოში გამართავენ წარმოდგენებს და მხოლოდ სადიდ-მარხვოდ დაბრუნდებიან ტფილისში. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იქმნება ქართული თეატრი განათებული, ამის შესახებ არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ თეატრი კვლავ ელექტრონით იქმნება განათებული და 4—5 დღის შემდეგ დაიწყებს კიდეც ელექტრონის მანქანა მუშაობას.

სექტემბრის გასულსავე ტფილისში ჩამოვა ძმ. ნიკიტინის ცირკი და გაჰმართავს წარმოდგენებს თავისს შენობაში, გოლოვინის პროსპექტზედ.

*** ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებელში მისაღები ეგზამენები 25 ავგისტოს დაიწყო. 52 კაცს შეუტანია თხოვნა, ხოლო თავისუფალი ადგილი სულ 25-ია. ეგზამენები მომავალ კვირას დასრულდება.

*** 25 ავგისტოს შესდგა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრო მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი მიკოლოგი ბ-ნი იაჩევსკი. კრებაზედ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ნაღონი ბლეკ-როტის წინააღმდეგ საბრძოლველად. კომიტეტმა დაადგინა შეეკითხოს ამ საგნის შესახებ საფრანგეთის საფილოქსერო კომიტეტებს და შემდეგ, როდესაც პასუხს მიიღებს, ახალი კრება მოახდინოს. სხვათა შორის, ზოგიერთმა წევრმა ის აზრიც წარმოსთქვა, რომ საჭიროა კახეთში მიკოლოგიური სადგური დაარსდესო.

*** 12 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე იოსებ ქავთარაძისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

*** შუამდგომლობაა აღძრული, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგასა და თელავის მაზრის სოფ. შილდაში დაარსებულ იქმნან სამრევლო-საეკკლესიო სკოლები.

*** რადგანაც ბორჩალოს მაზრაში ამ ბოლოს დროს ძალიან ხშირად თივასა და ათეულებს ცეცხლს უკიდებენ ხოლმე, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ბორჩალოს მაზრის უფროსს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ღამე სოფლებმა დარაჯები დააყენონ ხოლმე, რომელნიც თვალყურს ადევნებენ და ცეცხლის წაკიდების ნებას არავის მისცემენო.

*** ოქტომბერში რუსეთის ფრინველთა საზოგადოების კავკასიის განყოფილება მუშტაიდის ბაღში ფრინველთა გამოფენას გაჰმართავს.

*** ამ წლის 6 სექტემბერს შესრულდება სამოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად აფიცრობა მიიღო ჩვენმა მხცოვანმა გენერალ-ლეიტენანტმა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ მამაცაშვილმა.

*** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ გუბერნატორის კანცელარია ახალ შენობაში გადადისო, სახელდობრ ჭავჭავაძის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში. ამავე შენობაში გადატანილი იქმნება ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს კანცელარია და საპატიმროთა ზედამხედველ კომიტეტის კანცელარია.

*** ქუთაისის მცხოვრებელს ი. ს. მამაჯანოვს ახალი სალეწავ სანიავებელი მანქანა მოუგონია. ამ მანქანის უპირატესობა ის არის, რომ, გარდა იმისა, რომ პურს კარგადა ჰლეწავს, ბზეც სრულიად არ იკარგება. ამ უკანასკნელ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბზეს ჩვენში საქონლის საკვებად ინახავენ. კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ უკვე გამოსცადა ხსენებული მანქანა და ეხლა ტფილისში გამოგზავნა და სთხოვს საზოგადოების საბჭოს, თქვენც გამოსცადეთო.

*** უმაღლესმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა, ამა წლის 2 ივნისს, რომ ქუთაისის მაზრის დაბა ხონში 1898 წლის პირველ ივლისიდგან დაარსებული იქმნას სკოლა ხელოსან მოსწავლეთათვის. ადგილობრივმა სოფლის საზოგადოებამ იკისროს ვადამდის სკოლის შენობის აგებისა და მოწყობისათვის 11,300 მ., ხოლო დანარჩენი რაც დასჭირდება, სახელდობრ 16,000 მან., ხაზინიდგან მიეცემათ. წელიწადში სკოლის შენახვას დასჭირდება 7,465 მან. ამ ფულიდგან 5,730 მანეთს ხაზინა კისრულობს, ხოლო დანარჩენი 1,735 მანეთი სოფლის საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს.

*** გაზ. „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ 27 ავგისტოს, სადგურ ვაზიანის მახლობლად საზიზღარი მკვლელობა მოხდაო. რამდენისამე ვერსის სიშორეზედ სადგურიდგან გერმანელების ორ ფურგუნს, რომელშიაც მეფურგუნების გარდა, სამი ქალი იყო, ექვსი შეიარაღებული კაცი დაეცა თურმე თავს და ფულის თხოვნა დაუწყეს. ერთს მეფურგუნეს ამოუღია ქისა 200 მანეთით და იქვე თხრილში გადაუგდია. როდესაც ყაჩაღები ფულის ძებნას შესდგომიან, მეფურგუნე ცხენზედ შემჯდარა და სადარაჯო სადგურისაკენ გაქანებულა, მაგრამ ავაზაკებს შეუმჩნევიათ და იქვე მოუკლავთ და ქალები-კი გაუწბილებიათ.

*** გაზ. „Нов.“-ის სიტყვით, ვლადიკავკაზში უმაღლესი ტეხნიკურ სასწავლებლის დაარსების საქმე, უფულობისა გამო, ჯერ-ჯერობით გადადებულ იქმნა.

*** გაზ. „მშაკ“ შემდეგს უცნაურს ამბავსა სწერენ სოფ. კახიდგან: „19 ავგისტოს უფროსი ურიადნიკი მ. ელჩიბეკოვი სხვა ურიადნიკ აბას-ბეკოვისა და ექვსი ჩაფრით კახიდგან წავიდა გარშემო მდებარე სოფლების დასათვალიერებლად; გზაზედ უცბად ავაზაკები დაეცნენ, შეუკრეს ყველას ხელ-ფეხი, წაართვეს იარაღი და ტანისამოსი და შემდეგ სადღაც დაიმალნენ. ხმა დადის, ვითომც ეს ის ავაზაკები იყვნენ, რომელთაც ბოქაული თავ. აბაშიძე მოჰკლესო“.

*** სიღ. ყაზბეგი. სასაცილოა აქაურის ფოსტის ამბავი. ძნელად ისე ჟურნალი და ხანდისხან წერილიც მოგვივიდეს, რომ გახსნილი და დაბეჭდილი არ იყოს. თურმე ვიღაც ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს და მერე, ასე ოთხიოდე დღის შემდეგ, ურიგებს ხელის მომწერლებს გამურულსა და გაჭუჭყიანებულს. ნუ თუ ეს ბოროტი მოქმედება უყურადღებოდ დარჩება იმათგან, ვისის ყურადღების ღირსიც იგია.

*** ს. საკურწე, (შორაპნის მაზრა). აქ აგერ ერთი თვეა რაღაც სნეულება მძვინვარებს. აქ სახადს ეძახიან, მთელს სოფელს მოედო, იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ ორი და სამი არ იყოს ავად. ავადმყოფს აცხელებს, თავს ატკივებს ძლიერ, ახველებს, გულს ულონებს და მადას უკარგავს, წყურვილი-კი უძლიერდება. ყოველ ოჯახიდგან კვნესა ტირილი, ოხვრა-გოდება მოისმის, მაგრამ ვინ არის მშველელი, საზოგადოდ, როგორც ყოველთვის, ეხლაც მკითხავებთან გარბიან და სოფლის ექიმებთან, მაგრამ იმათგან არაფერი შველა არ ეტყობა ავადმყოფებს. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა მაზრის ექიმი, მაგრამ ვინ გააგებინებს ამას სოფლის გაჭირვებას. მამასახლისის მოვალეობაა აცნობოს მაზრის უფროსს სოფლის გაჭირვება, რომ მან ღონე იღონოს სენის მოსასპობად, მაგრას მამასახლისს არად მიაჩნია სოფლის ბედ იღბალი. ავადმყოფობა არასოდეს არ არის კარგი, მეტადრე ეხლა, როდესაც ყველაფერი შესანახავი აქვს სოფლელს. ამისათვის კარგს ინებებს ბ-ნი მაზრის უფროსი, რომ მიაშველებდეს ექიმს და ამითი შეუმსუბუქებდეს გაჭირვებას ისედაც გაჭირვებულ გლეხებს. აქ მოდებულია კიდეც „სურდო-ხველა“, ბატონები, ასე ეძახიან ამას, რომლის წი-

---

შემდეგ არ გასულა სამი დღე, რომ იგივე თხოვნა განუმეორეს, მხოლოდ წინანდელზედ დაჟინებით-კი. წერილში ეწერა, რომ მეორე დღეს, დილის ცხრა საათზედ, ეტლი მოგერთმევათო და, მართლაც, მეორე დღეს დილის ცხრა საათზედ თავახდილი ეტლი გაჩერდა იმის სახლის წინ. ტეფენეტმა ბევრი აღარ იფიქრა, შეაგროვა უსაჭიროესი იარაღი და ჩაჯდა ეტლში.

— ვისთან მიგყევართ?—დაეკითხა იგი მეეტლეს, როცა ეტლში ჯდებოდა.

— რაც არ ვიცი, იმის შესახებ არა ვფიქრობო.

— სჩანს ინგლისელი უნდა იყოს!.. „გაუთლელო“, შიუგო ინგლისურადვე ექიმმა.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ ეტლი ერთს აგარაკთან გაჩერდა.

— აბა საით წავიდე, აქ ვინა სცხოვრობს, ვინ არის ავად? ეკითხებოდა ექიმი მეეტლეს, სანამ ჩამოვიდოდა ეტლიდგან, მაგრამ მეეტლემ წინანდებურივე პასუხი მისცა, და ამ მიზეზით ექიმმაც იმავე სახელით დაასაჩუქრა იგი.

კარებში გამოეგება ახალგაზდა ლამაზი კაცი, ასე ოც-და-რვა წლისა, რომელმაც აატარა იგი განიერს კიბეზედ მაღალს და ფართო ოთახში. ლაპარაკის უცხო-ქვეყნიურ გამოთქმა-კილოზედ ეტყობოდა, რომ იგი ინგლისელი უნდა ყოფილიყო და ექიმმაც ამ მიზეზის გამო ინგლისურად დაუწყო ლაპარაკი. ყმაწვილი კაცი პატივისცემით აძლევდა პასუხს.

— თქვენ მომიწვიეთ აქა? ჰკითხა ტეფენეტმა.

— დიახ და დიდაც გმადლობთ იმ პატივისცემისათვის, რომელიც მეცით თქვენის აქ მობრძანებით. დაბრძანდით. აი შოკოლადი, ყავა და ღვინო; იქნება ჯერ დანაყრებას მოისურვებთ.

— არა, ბატონო! გთხოვთ ჯერ ავადმყოფი მაჩვენოთ, სთხოვა ექიმმა, მე მსურს გავიგო საჭიროა იმისთვის ოპერაცია თუ არა?

— აუცილებლად საჭიროა, ბატონო ექიმო, მხოლოდ ჯერ გთხოვთ დაბრძანდეთ და მომისმინოთ. აი აქა სძევს ქისა ასის გინეით *). ამას თქვენ გინიშნავთ საჩუქრად ოპერაციის გაკეთებისათვის; ოპერაცია უეჭველად უნდა გაკეთდეს. ეს კიდევ არაფერი, ამ ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებთ, თუ კეთილად ჩაივლის იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში და მაშინაც, თუ უარი სთქვით, ხედავთ, ამ გატენილს რევოლვერს?.. თქვენ ჩემს ხელში ხართ, — მოგკლავთ და ღმე, უფალმა განმსაჯოს!

— მოწყალეო ხელმწიფევ, მე არ მეშინიან თქვენის რევოლვერისა! — მხოლოდ მითხარით, რა გსურთ? თავდარიგიანად ილაპარაკეთ და წინასიტყვაობასაც გთხოვ თავი დაანებოთ! რა მაქვს გასაკეთებელი?

— მარჯვენა ფეხი უნდა მომჭრათ!

— დიდის სიამოვნებით, მოწყალეო ხელმწიფევ, თუ გსურთ, თავსაც ზედ მივაყოლებ! მაგრამ თუ არა ვცდები, თქვენს ფეხს, როგორც მე მაჩვენა, საიმისო არა უჭირს რა, რადგან კიბეზედ ჯამბაზის სიმარდით ამოირბინეთ. რა აკლია თქვენს ფეხს?

— არაფერი, მაგრამ მე მსურს, რომ მომჭრათ.

— სერ, სულელი ყოფილხართ!

— ეგ თქვენ არ შეგეხებათ, ბატონო ტეფენეტ!

— რა დაგიშავათ ამ მშვენიერმა და ჯანსაღმა ფეხმა?

— არაფერი, მაგრამ გინდათ თუ არა მომჭრათ?

— მოწყალეო ხელმწიფევ! მე თქვენ სრულიადაც არ გიცნობთ, მომეცით საბუთი, რომ ჭკუაზედ არა ხართ შეშლილი.

— გინდათ თუ არა აღმისრულოთ ჩემი სურვილი, ბატონო ტეფენეტ!

— თუ მეტყვით მიზეზს, რომელიც გაიძულებთ თავის დამახინჯებას.

— ამ წუთში არ შემიძლიან გაგიმხილოთ ამისი მიზეზი. ერთი წლის შემდეგ შესაძლოა, მაგრამ თუნდა დაგენძლევებით, რომ თქვენვე აღიარებთ ბოლოს, რომ მეტად პატიოსანი და საქები მიზეზი ჰქონდა იმ კაცსაო.

— არ დაგენაძლევებით, სანამ არ მეტყვით თქვენს გვარს, საცხოვრებელს ბინასა და ხელობას.

— ყველას ამას ბოლოს შეიტყობთ, მხოლოდ ეხლა-კი არა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ პატიოსანს კაცთანა გაქვთ საქმე.

— პატიოსანი კაცი როდი დაემუქრება თავისს ექიმს, რევოლვერით მოგისპობ სიცოცხლესაო. მე განსაკუთრებული მოვალეობა მაქვს და იგი თქვენც შეგეხებათ, როგორც უცხოს. არ შემიძლიან თქვენი უმიზეზოდ დამახინჯება დ თუ თქვენა გსურთ სიცოცხლე მოუსპოთ სრულიად მართალს კაცს და ოჯახის მამას, მესროლეთ, თქვენი ნებაა.

— კარგი ბატონო ტეფენეტ, სთქვა ინგლისელმა და თან ხელში რევოლვერი აიღო. არ მოგკლავთ, მაგრამ მაინც კიდევ ძალით მოგაჭრევინებთ ფეხს! რასაც პატივისცემა, ფული და სიკვდილის შიში არ გაქმნევინებთ, იმას, იმედი მაქვს, სიბრალული ჩაგადენინებთ.

— რა გვარად.

— თქვენს წინაშე ამ წუთშივე რევოლვერით ფეხს გავიხვრეტ.

გაკვირვებული ექიმი ძალაუნებურად უნდა დარწმუნებულიყო, რომ უცნობი სულაც არა ხუმრობდა. იგი ჩამოჯდა სკამზედ, მოიმარჯვა რევოლვერი, მკვრივად მიადო ფეხს ლულა და ჩახმახი წამოსწია. ექიმს უნდოდა მივარდნოდა, რათა აეცდინა ფეხისათვის რევოლვერის ლულა, მაგრამ ინგლისელმა შემდეგის სიტყვებით შეაჩერა: „არ დაიძრათ ადგილიდგან, თორემ რევოლვერს დავსცლი; მხოლოდ გთხოვთ მიპასუხოთ, ისევ წინანდელსაებრ უარსა ხართ და არ გინდათ ბოლო მოუღოთ ჩემს ამაოდ ტანჯვას.

— მოწყალეო ხელმწიფევ, როგორცა ვხედავ, უგუნური ყოფილხართ! მეტი რა ღონეა, სურვილს აღგისრულებო, განგათავისუფლებთ მაგ დაწყევლილს ფეხისაგან.

როცა ყველა საჭირო სამზადისი გათავდა და ექიმი მოემზადა ფეხის მოსაჭრელად, ინგლისელმა ჩიბუხს მოუკიდა და დაიფიცა, რომ ვეცდები ფეხის მოჭრამდე არ გაჰქრესო, და, მართლაც, თავისი სიტყვა შეასრულა. მოჭრილი ფეხი იატაკზედ იდო, ინგლისელი-კი კვლავ ჩიბუხს აბოლებდა. ტეფენეტმა თავისი საქმე ხელოვნურად შეასრულა. იმის ხელოვნების წყალობით ავადმყოფი ცოტახანში სრულიად გამოსაღდა. უხვად დაასაჩუქრა ექიმი, დღითი დღე, ოპერაციის გაკეთების შემდეგ იგი უფრო და უფრო უძლიერდებოდა მისი პატივისცემა, თვალებზედ ცრემლმორეულმა მადლობა გარდაუხადა ფეხის მოჭრისათვის და ხელოვნურის ფეხით დაბრუნდა ინგლისში.

*) გინეია ინგლისური ოქროს ფულია, რომელიც ეხლანდელ მაზანდის ერთს თუმანს უდრის.

ნაალმდეგ წამლობა-ექიმობას ცოდვად სთვლიან სოფლელები და ამითი ბევრს ისტუმრებენ საიქიოს.

## წერილი სამესხეთოდგან

წარმოიდგინეთ, მთელს სამესხეთოში ისეთი სოფელი არ მოიძებნება, რომ იქიდგან იზრდებოდეს ვინმე საშუალო ან უმაღლესს სასწავლებელში. აქაურს შეუძლო გლეხს, რომელსაც უმრავლესობა შეადგენს, რომ ჰკითხოთ, რატომ არა ჰგზავნი შვილს სასწავლებელშიო, აი რა პასუხს მოგცემთ: სადაა სამაგისო ფულები. წრეულ საყოფი პურიც არ მომსვლია და შენ მეუბნევი შვილი შკოლაში მიეციო. ჰა, თუნდაც მივცე, იმ სიშორეზე (აქ დაასახელებს რომელისამე შორეულ სოფლის სახელს) როგორ ვატარო ჩემი ბიჭი? მარტო ქალამნების ყიდვას თავს ვერ მოუვალო.

მართლა რომ შესანიშნავია ამ მხრივ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები: ცხრა-ათ სოფელზედ ერთი სკოლა ძლივს მოდის. ასეთის სკოლების ერთი-ერთმანეთისაგან დაშორება ხომ შეუძლებელსა ჰხდის ბავშვის სკოლაში სიარულს. საზოგადოდ გლეხს ხომ არა აქვს შეგნებული სწავლის მნიშვნელობა. აქ ამას ის დაბრკოლებაც ემატება, რომ სკოლა სადღაც შორეულს სოფელში არსებობს. ეს გარემოება მთლად უკარგავს გლეხს სურვილს საშუალება მისცეს თავისს შვილს სწავლის ცოტად თუ ბევრად მიღებისა.

ჩვენებურის გლეხის უკიდურესის სიღარიბის მიზეზი კიდევ ის არის, რომ იმისს დაუდგრომელს შრომას შესაფერი ნაყოფი არ მოაქვს. მართალია, ეხლა მამაკაცებს დედაკაცებიც ჰშველიან, მედგრად, თავ-განწირვით ჰმუშაობენ, მაგრამ მაინც ვერასა ჰხდებიან, მაინც კალოობამდის აკლდებათ პური. ან საკვირველია განა? განა დედამიწის ნაყოფიერება ულეველი ზღვა იყო, რომ აქამდის არ გამოლეულიყო. მიწა, როგორც იხვნება ითესება, ისეც განოყიერება სჭირია, რომ სამყოფი მოსავალი მოიყვანოს. წესიერს განოყიერებას თავი დავანებოთ, ადამისგან ნაანდერძევს წესსაც გადუხვიეს ჩვენებმა და იმასაც ვერ ასრულებენ: აქამდის თუ გლეხი თავ-ბედს იწყევლიდა, ერთი წელიწადი ყანა „გაუსუქებელი“ დამრჩაო, ახლა ყურსაც არ იბერტყს, თუნდა რამდენიმე წელიწადი ყანებს ერთი მუჭა სასუქიც არ მოახვედროს.

აი, ყოველ ამას ის მოჰყვა, რომ ჩვენს გლეხს არა აქვს სკოლა, თავისს ჯან-მრთელობას ვერა ჰყოფს უზრუნველ ავადმყოფობისაგან, სიცოცხლეს სიმშილისაგან, მიწა-წყალს ჩარჩის ხელისაგან და სხვანი.

ვინ უნდა იზრუნოს მერე ბედ-შავის გლეხისათვის? რასაკვირველია, განათლებულთ, ინტელიგენციამ სოფლისამ თუ ქალაქისამ. ჩვენში სოფლის ინტელიგენციას ნურც იკითხავთ, ახალციხესა და ახალ ქალაქს-კი იგი სანთლითაც არ მოიძებნება. მაშასადამე, ეს საქმე უნდა იკისრონ სოფლის მღვდლებმა და მასწავლებლებმა, ისინი უნდა ავრცელებდნენ ხალხში საჭირო ცოდნას, აღძრავდნენ სწავლა განათლების სურვილს და სხვ. ამისი ასრულება იმათ სასურველია, მათ დაანებონ თავი ძილს, დაინახონ რამდენად სცოდავენ მომავალ თაობის წინაშე თავიანთის უსაქმურობით და დაიწყონ მოღვაწეობა ჩვენის ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, რომ იგი ტანზედ აღარ ილპობდეს გაურეცხლად ტანთ საცმელს, უვარგისის „ბალახ ბულახით“ არ იტენდეს მუცელს, წრეს-გადასულის ჯაფით არ ესალმებოდეს წუთი-სოფელს, ჩარჩ-ვაჭრები ვეღარ ისაკუთრებდნენ გლეხის მიწა-წყალს სკოლები ჰქონდეს, სამკითხველოები, საავადმყოფოები, საზოგადო დაწესებულებანი და სხვანი.

დ. ღელისპირელი

## რუსეთი

სატახტო ქალაქების ზოგიერთმა ექიმმა-ქალებმა განიზრახეს დააარსონ მოსკოვისა და პეტერბურგის საბებიო და საფერშლო კურსებზედ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.

— დედათა საექიმო ინსტიტუტში სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. სულ 400 ქალს მიუცია შესვლის თხოვნა, მიუღიათ-კი მხოლოდ 165 ქალი. საზოგადო საცხოვრებლისთვის წელს დაქირავებული იქმნება კერძო სახლი, რომელშიაც მხოლოდ 36 ქალს მოათავსებენ, ხოლო გაისს ამისათვის განსაკუთრებული შენობა იქმნება აგებული.

— სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ სააქციზო მოხელეთათვის ახალი ფორმა იქმნება შემოღებულიო.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში შუამდგომლობაა აღძრული ისეთის საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელიც დახმარებას აღუჩენს სოფლის ნორმალურ სასწავლებლებში მოსწავლეთ და იქ სწავლა-დამთავრებულთ სხვაგან სწავლის განგრძობის შეძლებას მისცემს.

## უცხოეთი

**სამთა კავშირი.** ამ რამდენისამე დღის წინად გერმანიის იმპერატორს ეწვია იტალიის მეფე ჰუმბერტო დედოფლითურთ. მართალია, გაზეთები ამბობენ, რომ იტალიის მეფის გერმანიაში მოგზაურობა წინადვე იყო განზრახულიო, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იგი გამოიწვია რუს ფრანგთა კავშირმა და იმ დღესასწაულებმა, რომელნიც ამის გამო პეტერბურგში იქმნა გარდახდილი. ამ დღესასწაულებმა და საერთოდ პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსების მიერ მიღებამ მთელის ევროპის ყურადღება მიიპყრო. ყველამ აშკარად დაინახა, რომ ამიერიდგან ეს ორი სახელმწიფო ერთ სულსა და ერთს ხორცს შეადგენენ და გაჭირვების დროს ერთი მეორისთვის სულს არ დაჰზოგავენ. ამ გარემოებამ ყველაზედ ძალიან სამთა კავშირის მოთავე და წინამძღოლი — გერმანია დააფიქრა. ყველამ უწყის, რა სიძულილია ჩამოვარდნილი გერმანიასა და საფრანგეთს შორის ელზას-ლორენის გამო. ბევრი იმასაც ამბობს, რომ საფრანგეთი იმიტომ დაუახლოვდა რუსეთს, რომ იმისის შემწეობით გერმანიას თავისი პროვინციები წაართვასო, მაგრამ გერმანიასაც არა სძინავს. კარგა ხანია მან მოკავშირენი შეიძინა და ეხლა, დასრულდა თუ არა რუს-ფრანგთა დღესასწაულები, მოიწვია იტალიის მეფე და თითონაც გაჰმართა სამეგობრო დღესასწაულები და ნადიმები. ასეთის საქციელით გერმანიამ ორი საქმე გააკეთა: ერთის მხრით — უფრო განამტკიცა და გააძლიერა კავშირი იტალიასთან, რომელიც ამ ბოლოს დროს თითქოს საფრანგეთისაკენ მიიწევდა, და მეორეს მხრით — მთელს ევროპას, განსაკუთრებით საფრანგეთსა და რუსეთს, გააგებინა, რომ ჩვენც არ გვძინავსო და დაანახვა, რომ სამთა კავშირი არამც თუ არ გაუქმებულა, არამედ უფრო მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზედ დამყარდაო. სწორედ ასეთს პოლიტიკურს მნიშვნელობას აძლევს ჰუმბერტოს მოგზაურობას გაზ. „Berliner Tageblatt“-იც. „მეფე ჰუმბერტოს გერმანიაში მოსვლას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იგი პირდაპირი შედეგია რუს-ფრანგთა კავშირის დღესასწაულებისაო. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს შეურყეველობას სამთა კავშირისას, რომელიც ორთა კავშირთან ერთად, ან იმის წინააღმდეგ ყოველ ღონეს იღონებს, რომ ევროპაში მშვიდობიანობა არ იქმნას დარღვეულიო“.

**კრიტი.** არ იქმნა, არაფერი ეშველა კრიტის დაწყნარებას. იქიდგან თითქმის ყოველდღე აჯანყებისა და არეულობის ამბავი მოდის. ეხლაც „ჰავასის სააგენტო“ დეპეშით იუწყება, რომ მეამბოხეთ თოფის სროლა დაუწყეს ოსმალეთის ჯარს, რომელმაც, რასაკვირველია, უპასუხოდ არ დასტოვაო. ჯერ არ იციან, რამდენია მოკლული, მაგრამ მარტო ის, რომ მეამბოხენი ყურადღებას არ აქცევენ ევროპის სახელმწიფოთა ესკადრას და წამ და უწუმ ოსმალებს ებრძოლებიან, აშკარად ჰყოფს, რომ კრიტის საქმეებს არაფერი წარმატება არ მისცემია და ევროპას ჯერ კიდევ ბევრი წვალება მოუხდება, ვიდრე კრიტს დააწყნარებდეს. როდესაც ჯევად ფაშა კრიტის გუბერნატორად დანიშნესო, ამბობს ერთი გაზეთი, ყველას ეგონა რომ იგი გამოაკეთებს საქმეებსაო, რადგანაც იმას ყველა გამოცდილ და მოხერხებულ ადმინისტრატორად სთვლიდა, მაგრამ იმედი არ გამართლდა, და ქრისტიანთა და მაჰმადიანთ შორის დამოკიდებულება ისევე გამწვავებული ეხლა, როგორც წინად იყოო.

ჯევად-ფაშა ვერც ადმირალებს დაუახლოვდაო. იმის მაგიერ, რომ ადმირალებს და ჯევად-ფაშას საერთო მოქმედების გეგმა შეემუშავებინათ და თანხმობით ემოქმედნად, ყველა მათგანი ცალკე იწევდა და ისე იქცეოდა, როგორც თვითონ მოისურვებდა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ერთის ბრძანებასა და განკარგულებას მეორე არღვევდაო.

---

დაახლოვებით ასე ნახევარის წლის იმის ინგლისში დაბრუნების შემდეგ ექიმმა ტეფენეტმა შემდეგის შინაარსის წერილი მიიღო:

„მარად პატივცემულო ბატონო ტეფენეტ! ამასთანავე გიგზავნით ბარათს, რომლითაც მიიღებთ ორიათასს გინეას პარისის ბანკირის ბ-ნ ვანკოდისაგან ჩემის გულითადის მადლობის ნიშნად. თქვენ გამხადეთ მთელს ქვეყნიერებაზედ უბედნიერეს კაცად, რადგან მომაშორეთ უვარგისი ორგანო, რომელიც ჩემს ბედნიერად ყოფნას ხელს უშლიდა. კეთილო კაცო, არ მინდა თქვენთვის საიდუმლო იყოს მიზეზი ჩემის სულელურის (როგორც თქვენ ამტკიცებდით) ახირებისა. მაშ გაიგეთ. ამტკიცებდით, რომ არ შეიძლება ისეთი საფუძვლიანი მიზეზი იყოს, რომ ადამიანს თავი დაამახინჯებინოსო. გენაძლევებოდით, მაგრამ უარი სთქვით. კარგიცა ჰქენით. ჩემის ოსტინდეთიდგან ინგლისში დაბრუნების შემდეგ შემთხვევით გავიცანი ემილია გარლეი, უმშვენიერესი არსება ქალთა შორის. მოვისურვე იმისი შერთვა. იმისი შეძლება და გვარეულობა ჩემს ნათესავებს მოსწონდათ, ხოლო მე კი — მისი სილამაზე და სულის იშვიათი თვისებანი. შეუერთდი იმის თაყვანისმცემელთა ბრბოს. ახ, დაუვიწყარო ტეფენეტ! უზომოდ ბედნიერი შევიქენ და ამასთან უუბედურესი მთელ ჩემს მოცილეთა შორის. შევიტყე, რომ მეც ვყვარებოდი და ვერჩივნე კიდეც ყველა თავისს თაყვანის მცემლებს — არცა ჰმალავდა ამას! — და სწორედ ამისათვის მითხრა უარი. ამაოდ ვემუდარებოდი მის ნათესავებს, მეგობარს ქალებს, ვერ იქნა, ვერ დავიყოლიე. დიდხანს ვერ მიმხვდარვიყავ, რა აიძულებდა საყვარელს კაცთან შეერთების უარის თქმას, იმ კაცთან, რომელიც, როგორც თვით ჰგრძნობდა, თავ-დავიწყებით უყვარდა. ბოლოს დიდის წვალების შემდეგ ერთის იმის დისაგან შევიტყე საიდუმლოდ, რომთუმცა მის გარლეი დიდის სილამაზის პატრონი იყო, თურმე ბუნებრივი ნაკლი ჰქონოდა — ერთი ფეხი ჰკლებოდა, რომლის ალაგას ხელოვნური ფეხი ქონდა გაკეთებული. და აი, სწორედ ესა ყოფილიყო მიზეზე, რო არა ჰსურდა მომთხოვებოდა. შიშითა ჰკრთოდა თურმე, რომ ჩემი ქმარი ჯვარის წერის შემდეგ ამის გულისათვის ამითვალწუნებსო. მე მაშინვე გარდავწყვიტე დავმსგავსებოდი იმას და თქვენის დახმარებით, ძვირფასო ტეფენეტ, ეს სურვილი კიდეც შევისრულე. როცა ამის შემდეგ ლონდონში დავბრუნდი, ყველაზედ უწინ მისს გარლეის ვესტუმრე. ადრევე მივიწერე ინგლისში, რომ ცხენიდგან გადმოვარდნის დროს ფეხი მოვიტეხე-მეთქი. ვინც-კი გაიგო ეს ამბავი, ყველა თანაგრძნობას მიცხადებდა გულის ტკენით. პირველად რომ დამინახა, მისს გარლეიმ გულს შემოეყარა, ამასაც გაეგო ჩემის ფეხის მოტეხის ამბავი და დიდხანს იყო დამწუხარებული, მაგრამ მაინც მომთხოვდა. მხოლოდ ჯვარის წერის შემდეგ გავუმხილე მართალი და რაკი ეს გაიგო, უფრო მეტად შემიყვარა. ოო, ძვირფასო ტევენეტ, ათი ფეხიც რომ მქონოდა, იმათაც-კი არ დავიშურებდი და ყველას ჩემს ძვირფასს ემილიას შემოვავლებდი თავს. მთელს ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება თქვენი სიკეთე და სიკვდილამდის თქვენი მოვალე ვიქნები. გვეწვიეთ ლონდონში, დაგვათვალიერეთ, გაიცანით ჩემი შეუდარებელი მეუღლე და არა მგონია კიდევ განიმეოროთ, რომ ვითომ მე სულელი ვიყავ, როცა ფეხს ვიჭრიდი.

თქვენი შარლ ტემილი“.

ექიმმა მთელი ეს ამბავი და წერილის შინაარსიც თავისს მეგობრებსა და ნაცნობთ გაუზიარა და ყოველთვის, როცა ვისმეს უამბობდა, გაიცინებდა და თან დასძენდა ხოლმე: „არა, ის მაინც სულელი იყო“!

აი, რა უპასუხა თურმე ექიმმა: სერ! ძვირფასის საჩუქარისათვის მადლობას გიძღვნით. ძვირფასს საჩუქარს ვუწოდებ თქვენ მიერ გამოგზავნილს ფულს, რადგან იგი არ ჩაითვლება ჩემის შედარებით ადვილის შრომის საფასურად. გილოცავთ შეუღლებას ლამაზ ინგლისელ ქალთან. თუმცა, მართალია, ერთის ფეხითაც არა უჭირს-რა კაცს, ლამაზ, გულ-კეთილ და მოყვარულ მეუღლესთან; ამას გარდა, არც თქვენა ხართ პირველი და უკანასკნელი მაგალითი; ადამმა მეუღლის ყოლისათვის თავისი ერთი წიბოთაგანი დასთმო; არც სხვებს დასჯდომიათ ეს იაფად, ზოგს სიცოცხლეც შეუწირავს, მხოლოდ ყველა ამასთან სერ, გთხოვთ ნება მომცეთ, რომ ისევ ჩემი წინანდელი აზრი განვიმეორო. რასაკვირველია, ამ წუთს შესაძლოა მართალიც იყოთ, — რადგან ჯერ კიდევ პირველი ხანია თქვენის შეუღლებისა, მაგრამ მეც მართალი ვარ ჩემის მხრივ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩემი სიმართლე, როგორც ყოველი სხვა, რომელსაც დიდხანს უარსა ჰყოფენ ხოლმე, ნელ ნელა გახელმწიფდება. სერ შენიშნეთ! მეშინიან, რომ ორის წლის შემდეგ არ მოჰყვეთ სინანულს, მუხლს ზემოდ რად მოვიჭერი ფეხიო; შეიძლება იმ აზრისა იყოთ, რომ მუხლამდის ფეხის მოჭრა სრულიადაც საკმარისი იყოო; სამის წლის შემდეგ დარწმუნდებოდით, რომ სრულიად ჰკმაროდა კუნთამდის მოჭრა ფეხისაო; ოთხი წლის შემდეგ იმ აზრისა იქმნებით, რომ საკმარისი იქნებოდა დიდის თითის მოჭრაცაო; ხუთი წლის შემდეგ იფიქრებთ, რომ მეტის-მეტი იქმნებოდა პატარა თითის შეწირვაცაო, და სულ ბოლოს, ექვსის წლის შემდეგ შეიძლება მარტო ფრჩხილის მოჭრა გეკმარათ. ყოველსავე ამას ცუდის განზრახვით არა გწერთ და არცა მსურს დავამციროთ ამითი თქვენის მშვენიერის ცოლის ღირსებანი. ქალებს უფრო ადვილად შეუძლიანთ შეუცვლელად შეინახონ თავისი სილამაზე და გულკეთილობა, ვიდრე კაცს თავისი აზრი. ჩემს ახალგაზდობაში ყოველთვის მზად ვიყავი სატრფოსათვის სიცოცხლე გამეწირა, მხოლოდ ფეხი-კი არა. პირველს შემთხვევაში თავისს დღეში აღარ ვინანებდი. მეორეში-კი მთელი სიცოცხლე სინანულში უნდა გამეტარებინა. მართლაც, ეს რომ მომექმედნა, ყოველთვის ვეტყოდი ჩემს თავს: „ტევენეტ, სულელი იყავ-მეთქი!“

მაქვს პატივი დავშთე მარად თქვენი პატივისმცემელი ტევენეტი.

III

1793 წელს, იმ საშინელის ამბოხების დროს, ექიმი ტევენეტი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი სამშობლო და ინგლისში გაქცეულიყო. უნდა გამოქცეულიყო, თუ ჰსურდა გადაერჩინა თავი გილიოტინის დანისაგან, რადგან იგი დააბეზღეს, რომ ხელმწიფებას თანაუგრძნობსო. ცოტა ხანს შემდეგ ლონდონში ამოჰყო კიდეც თავი. აქ უსაქმურობის გამო ერთხელ მოაგონდა ძველი ნაცნობი შარლ ტემილი და იკითხა იგი; უჩვენეს ტემილის საუც-

## დამაკვირდი

ადამიანთა სათნოება ცხოვრების წადმა-უკუღმა ტრიალში შავი, სპილენძის ფულია; ბავშვია ის, ვისაც იგი ხალას ოქროდ მიაჩნია.

კანტი

* * *

ბედნიერების საიმედო გასაღებს მხოლოდ მოთმინება იძლევა.

ლოგო

* * *

იყავ თავ-დაჭერილ და კუჭიც მაგარი გექმნება, აღარც კალები დაგედება.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბევრს ისე ჰგონია, რაც-კი სასარგებლო რამ გამოგონება არის ეხლა, ყველაფერი ახალი არისო, ევროპის ცივილიზაციამ მოიგონა და მოიტანაო, თვით ევროპიელნიც ამ აზრისანი იყვნენ წინად და ბევრნი ეხლაც არიან. ხოლო ამ ბოლო დროს თანდა-თან მტკიცდება, რომ თითქმის არც ერთი ახალი გამოგონება არ არის ეხლა, რომ უწინდელ დროს ჩინელებს არა ჰსცოდნიყოთ. დამტკიცებულია, მაგალითად, რომ ჩინელებს უწინდელ დროს თოფის წამალი ჰქონიათ, აგრეთვე რკინის გზები, ტელეგრაფი, ველოსიპედი, ტელეფონი და სხვა.

ჟურნალ-გაზეთები ხომ სულ ახალი საქმეა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ყველაზედ უძველესი გაზეთი პეკინში იბეჭდება, სახელად ამ გაზეთს ეწოდება კინპან და აგერ 1,000 წელიწადია თურმე რაც იბეჭდება. სულ უწინ ეს გაზეთი თვეში ერთხელ გამოდიოდა, მერე მთელის 400 წლის განმავლობაში კვირაში ერთხელ, 1800 წლიდგან დაწყობილი ეს გაზეთი იბეჭდებოდა ყოველ დღე, ეხლა-კი დღეში სამჯერ გამოდის. დილით ეს გაზეთი იბეჭდება ყვითელ ქაღალდზედ, შუადღისას თეთრზედ და საღამოთი ყომრალ ქაღალდზედ. ამგვარად კაცი არ მოსტყუვდება და გაზეთის გამყიდველი ერთის მაგიერედ მეორეს ვერ მიაჩეჩებს ხელში.

* * *

ჩვენს სასწავლებლებში სრულებით არ ასწავლიან ანატომიას, ანუ ადამიანის აგებულობას. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ქალებმა არ იციან და ვერც წარმოუდგენიათ, რა მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის კორსეტი. საკმარისია ვსთქვათ, რომ კორსეტი გულს უჭერს, სუნთქვას აძნელებს და ყველა დაგვეთანხმება, რომ სწორედ ეს იქმნება მიზეზი, რომ ვინც კორსეტსა ხმარობს, ხშირადა სჩივის ხოლმე თავი მტკივა, შაკიკი მაწუხებსო და სხვა.

ერთი მკურნალი ქალი ქ-ნი საროტი ძლიერ დაფიქრებულა იმაზედ, თუ რა ვნება მოაქვს კორსეტს, მაგრამ თითონვე ამბობს, რომ რაც უნდა უქადაგოთ ქალებს კორსეტის წინაამდეგ, მაინც ვერას გახდებით და ვერ დააშლევინებთ იმის ხმარებასაო. ამიტომ ქ-ნ საროტს თითონვე გამოუგონია იმგვარი კორსეტი, რომელიც სრულებით არ არის მავნებელი და იმედიცა აქვს, რომ ასეთი კორსეტი ხმარებაში შემოვაო.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ადამიანი ამ ჟამად სიცოცხლეს ესწრაფება, ყველაფერში ჩქარობს, დრო არ დავკარგოო. დრო ფულიაო, ამბობს განათლებული ინგლისელი და სცდილობს დრო არაფერში დავკარგოო. რაც შეიძლება მალე გავაკეთო ჩემი საქმე, რაც შეიძლება დიდის სისწრაფით ვიაროვო. ეს გახლავთ მიზეზი, რომ ათი-ათასობით მცოდნე კაცები იმის ფიქრსა და ცდაში არიან, ისეთი ორთქლ-მავალი და ცეცხლის გემი გამოვიგონოთ, რომ ერთი ორად უფრო სწრაფად იაროს, ვიდრე ეხლა დადისო. ამერიკაში ეხლაც რკინის გზის მატარებელი ისეთის სისწრაფით დადის, რომ ჩვენის რკინის გზის მმართველებს სიზმარშიაც არ მოელანდებათ. ჩვენი რკინის გზა რომ ისეთის სისწრაფით დადიოდეს, როგორც ამერიკაში დადის, ბათუმიდგან ტფილისამდე ჩამოსვლას კაცი ორ საათში მოასწრობდა. შესაძლებელი იქმნებოდა მაშინ კაცი დილით ტფილისში ბათუმიდგან ჩამოვიდეს, რაც საქმე აქვს გაარიგოს და სადილად ისევ თავისს სახლში დაბრუნდეს, ბათუმში. ხომ ასე ჩქარა დადის მატარებელი ამერიკაში, მაგრამ ადამიანის თვალსა და გულს რა გააძღობს. ასეთი სისწრაფე ამერიკელს კაცს ოტავება და ათასობით ფულსა ჰხარჯავს, რაც შეიძლება მალე მივიდე დანიშნულს ალაგასაო. ასევე ჰფიქრობს ამერიკელი ზღვით მოგზაურობის შესახებაც. ეხლანდელი გემები არ მოსწონს, ძლიერ ნელა დადისო და სულ იმას ფიქრობს, ისეთი გემი მოვიგონოთ, რომ რაც შეიძლება დიდის სისწრაფით იაროსო. ერთს ამერიკელს კაპიტანს, გვარად ფლინდტრს გამოუგონია ახალი გემი, გველეშაპის მსგავსი და ამტკიცებს, რომ ეს გემი ერთი ორად მეტის სისწრაფით ივლის, ვიდრე ეხლანდელი გემები დადიანო. ჰკუასთანაც ახლოა, რომ გველეშაპის მსგავსმა გემმა ჩქარა იაროს, რადგანაც ღელვის დროს ტალღები ვერაფერს დააკლებენ.

## ახალი წიგნი

—

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ალ. არაბიძის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული და ზ. ქ. დაწერილი წიგნაკი: „ნიკოლოზ ნიკოლაძე“. წიგნაკს დართული აქვს თვით ბ-ნ ნიკოლაძის სურათი, შეიცავს 81 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. მეოთხე გვერდზედ გამომცემელი გვპირდება, რომ იბეჭდება და მალე გამოვაო „იაკობ გოგებაშვილი“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტები: 1) მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს; 2) სამხედრო მინისტრს ვანოვსკის; გენერალ ფელდმარშალს გურკოს; ვილნოს ოლქის ჯარების სარდალს ტროცკის; 5) მეექვსე არმეის კორპუსის სარდალს კულგაჩევს; ვარშავის გერენალ-გუბერნატორს თავადს იმერეტინსკის. ამ უკანასკნელის რესკრიპტში სწერია: „თავადო ალექსანდრე კონსტანტინეს ძევ. დავესწარ რა ბელოსტოკთან დიდს ალლუმს, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ჯარი თქვენდამი მონდობილის ვარშავის სამხედრო ოლქისა; დავათვალიერე რა ვარშავის მახლობლად სათადარიგო და ციხე სიმაგრების მცველი და სხვა ჯარები; ვინახულე რა ციხე-სიმაგრეები ნოვოგეორგიევსკი, ზეგრჟი, ვარშავა და ოსოვეცი, ჩენდა სასიამოვნოდ დავრწმუნდი, რომ ეს ჯარი ჩინებულად არის გაწვრთნილი და ციხე სიმაგრეებიც მეტადს კარგს მდგომარეობაშია. ვიცით რა, რომ თქვენ მუდამ მზადა ხართ და სცდილობთ, ჯარი საუკეთესო მდგომარეობაში იყოს, სიამოვნებით გიცხადებ ჩემს გულწრფელს მადლობას თქვენის შრომისთვის, რომელიც მიმართულია ჩვენის სახელოვანის ჯარის სასარგებლოდ. აგრეთვე დიდად მესიამოვნა მე ის გარემოება, ის გრძნობა ერთგულებისა, რომელიც გამოგვიცხადეს მე და იმპერატრიცას თქვენდამი მონდობილის ოლქის მცხოვრებლებმა. ეს გრძნობა ამტკიცებს, რომ თქვენ კარგად ასრულებთ ჩემს მონდობილებას და მიადევნებთ შრომასა და ზრუნვას, რომელიც მიქცეულია პოლონელთა და რუსეთის ყველა ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ და სახელმწიფოს საქმეთა ერთიანობის გზაზედ დასაყენებლად, რომელიც თვით განგებამ აგვირჩია და ზედ მიგვითითა“.

**სუაქიმი.** დერვიშები აღმოსავლეთის მოწინავე ჯარებისაკენ იკრიბებიან და მდინარე ნილოსის ნაპირებზედ აპირებენ გამაგრებას.

**სიმლა.** გენერალის ბლედის ჯარი გადავიდა მდინარე პანიხორი და წავიდა სამხრეთისაკენ მაჰმანდების ქვეყნებისკენ. ბლედს იმედი აქვს თვისი ჯარი შეუერთოს გენერალ ელისის ჯარს, რომელიც შაბკადრისაგან ჩრდილოეთისაკენ წამოვიდა.

30 აგვისტო

**ბაქო.** სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა ავაზაკს აზიზ-ბეგს, რომელიც სხვა ავაზაკებთან ერთად თავს დაეცა ქარხანას სადგურ უჯარის მახლობლად. ამ დროს ორი ყაზახი მოკლულ იქმნა და ოთხიც დაიჭრა.

**კონსტანტინოპოლი.** მთავრობის წრეებში ტყუილ ამბად მიაჩნიათ ინგლისის მიერ გამოცხადებული ხმები ხოლო ის ხმა, რომ ზავის შესახებ ყველა პირობანი უკვე გამოირკვაო—უდრცვო ამბად. თუმცა კაბინეტთა შორის მოლაპარაკება კარგად მიდის, მაგრამ ჯერ არავინ იცის, როდის დაიწყება კრებები თოფხანეში.

თეირანის ელჩი მუნირ ფაშა, ამ დღეებში საზღვარზე მომხდარ უწესოებისა გამო გადაყენებულ იქმნა თავისის თანამდებობისგან და მის ადგილას დაინიშნა ვანის ეხლანდელი ვაჰლი შემს ედინ-ფაშა.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**სოფ. ქ—პი. მ. გ—ძეს.** თქვენ მიერ ნასმენი და გაგონილი არ დაიბეჭდება.

**პეპუს.** ეგ ამბავი უკვე გვქონდა ჩვენ დაბეჭდილი და მაინც ფოთელი ქალები თავისას არ იშლიან და რას იზამთ. ნეტა ლატარიის მეტი სხვა საქმე არა აქვთ-რა?

**მსხვერპლაძეს.** ეგ ამბავი ჩვენ გქონდა დაბეჭდილი და განმეორება რაღა საჭიროა.

**ე. ბერძ—შვილს.** მაინც არ დაიბეჭდება.

**თ. მ—ძეს.** „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

**მერცხალს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ძ. ძ—სი. თავად ვ. ე—ვს.** გამოსაგზავნია კიდევ 3 მან. 33 კაპ. და ადრესის შესაცვლელი 40 კაპ., სულ 3 მან. 73 კაპ.

**ნადალას.** არ დაიბეჭდება.

**დროებით სევასტოპოლელს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ორმოცაძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან საქმის ვითარებისა არა გცოდნიათ-რა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის“ მე-176 №-ში დასტამბულია დავით ჩოლაყაშვილის წერილი, რომელშიაც თ. ჩოლაყაშვილი სცდილობს დაუმტკიცოს მკითხველებს, რომ ბაკურციხე გულია სიღნაღის მაზრისა, შემკულია საუკეთესო ვენახებით, წყლითა და წისქვილებით,—ამიტომ მეორე კლასიანი სამრევლო სკოლა აქ უნდა დაარსებულიყო და არა ფანიანშიო, რომელიც წერილის ავტორს არ უნახავს, მაგრამ ვისთვისაც კი უკითხავს ამ სოფლის ქება არავისგან გაუგონია თურმე. თ ჩოლაყაშვილს ეს კი კარგად სცოდნია, რომ ფანიანი გადავარდნილი სოფელი ყოფილა, სულ მაზრის განაპირას, შირაქისკენ და ბაკურციხიდგან 40—55 ვერსის მანძილზედ.

თავისს სოფელში, ანუ თავისის სოფლის მახლობლად სკოლის დაარსება, რა ტიპისაც გინდა იყოს ეს სკოლა,—არავის დაეძრახება, მაგრამ თავისის აზრის მისაღწევად ცილის დაწამება და ტყუილის მოგონება, თუნდა უვიცობის გამოხენა, არავის არ ეპატიება. დალოცვილს თვითონ თუ არ უნახამს ფანიანი, რუკას მაინც გადაათვალიერებდა; ან არა-და, მცოდნე კაცს ჰკითხავდა ფანიანის ამბავს და მაშინ გაიგებდა, რომ ეს სოფელი სძევს ისეთს უზარმაზარ სოფლებ შუა, როგორნიც არიან—ზემო და ქვემო მაჩხაანი, ბოდბისხევი და ჯუგაანი. გარდა ამისა შირაქის მხარეზედ უძევს მირზაანი, ტიბაანი, პრასიანი, ოზაანი, არბოშიკი და ცლუნკაანი, არ არის ფანიანიდგან შორს არც ბოდბე-მაღარო და არც საქობო-ასანური და სხვა ქიზიყის სოფლები კარდანახამდის, იმ ქიზიყისა, რომელსაც მონობის, ბატონ-ყმობის უღელი თავისს დღეში კისერზედ არა სდებია. აი, ამ თავისუფალი ხალხისათვის დაარსდება თუ დაარსდა ფანიანში მეორე კლასიანი სასწავლებელი, რომლის შესანახავად ამავე გლეხობამ აღუთქვა სასკოლე ალაგის გარდა, წელიწადში 400 მან.

გამოიღეთ, ბატონო, მასწავლებლების ჯამაგირის მისამატებლად წელიწადში 300—400 მან., და ბაკურციხეშიაც დააარსეთ ასეთივე სასწავლებელი, მთავრობა თქვენ ისეთსავე დახმარებას აღმოგიჩენთ, როგორც ფანიანს, რადგანაც, რამდენადაც მე ვიცი, მაზრაში ერთი კი არა, ორი მეორე კლასიანი სამრევლო სკოლა უნდა დაარსდეს...

მაშ ჩვენც გავიჭიროთ საქმე, გამოვიღოთ თითო ოროლა გროში და ქიზიყ-კახეთში გავამრავლოთ სკოლები, რომელიც აგრე უჭირს ჩვენს უკან ჩამორჩენილს ერს წოდების განურჩევლად.

ი. გომელაური


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(22)


ოვო სახლი. ექიმმა ბევრი აღარ დააყოვნა და გაემართა იქითკენ. სთხოვა მოეხსენებინათ ტემილისათვის მისი სახელი და მაშინვე შეიწვიეს კიდეც. ოთახში შესვლისთანავე შემდეგი სურათი წარმოუდგა: სავარძელში იჯდა ჩასუქებული ასე შუახნის კაცი, წინ მაგიდაზედ მთელი გროვა გაზეთებისა ელაგა და ერთი ჰიქაც შუშხუნა პორტერი *) იდგა. იგი ძლივს იძვროდა, ისე დასრულებულიყო.

— აა, მობრძანდით პატივცემულო ტევენეტ! სთქვა მან. ეს კაცი ჩვენი ნაცნობი ტემილი იყო. არ გეწყინოთ, რომ ფეხზედ არ წამოგიდექით, ეს დაწყევლილი ხის ფეხი ყველაფერს მიშლის მეგობარო! ალბად იმის გასაგებად მოსულხართ, გაიმარჯვა თუ არა თქვენმა სიმართლემ?

— იძულებული ვიყავი მოსვლას, რადგან მდევნიან, და თქვენგან დახმარებას ველი!

— მაშ თუ აგრეა, ჩემთან უნდა დარჩეთ! უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ ჭეშმარიტად კაცი ჰყოფილხართ და კარგს იზამდით, ღმერთმანი, რომ ნუგეში მცეთ! ძვირფასო ტევენეტ, მე ეხლა ამირბარი ვიქმნებოდი, რომ ამ დაწყევლილის ხის ფეხის წყალობით სრულიად უვარგისი არ ვიყო ჩემის სამშობლოსათვის. მხოლოდ გაზეთებსა ვკითხულობ და თან თავსა და ბედს ვიწყევლი, რომ არსად შემიძლიან მონაწილეობა მივიღო. გევედრებით დარჩით ჩემთან, ბატონო ტევენეტ, მანუგეშეთ რითიმე.

— თქვენს მეუღლეს უფრო უკეთესად შეუძლიან თქვენი ნუგეში!

— ხმა!.. ის ხის ფეხის გამო ვერა სცეკვავს და ამ მიზეზით, ჩემდა სამწუხაროდ, ბანქოსა და ჰორიკანაობას მიეჩვია... იმას ვეღარავინ მოარჯულებს, მაგრამ ეჰ, მაინც კარგი დედაკაცია.

— როგორ? მაშ მე მართალს გეუბნებოდი მაშინ?

— ეჰ, მეტი რა ღონეა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჭეშმარიტებას ამბობდით. მაგრამ სულ ერთია, წარსულს ხომ ვეღარ დავიბრუნებთ! დაუფიქრებლად მოვიქეცი, მართალია, მაგრამ ეხლა რაღა გაეწყობა. ეხლა კი ფეხი რომ მქონოდა, სწორედ მოგახსენოთ, მეორედ ვეღარ შევწირავდი. ჩვენ შორის-კი ითქვას-და, სწორედ სულელი ვიყავი მაშინ, სულელი... მხოლოდ ჩვენს შორის-კი დარჩეს, თუ ღმერთი გრწამს, ეს ამბავი...

ა. წინამძღვრიშვილი

*) მაგარი მუქი ლუდია, მომწარო გემოსი, ინგლისის ეროვნულს სასმელს შეადგენს.